

ფინანსური და საოპერაციო ანგარიში

წლიური მაჩვენებლები
2017 წ. და 2018 წ.

大成 DENTONS

შპს დენტონს საქართველო

მელიქიშვილის ქ. #10

თბილისი 0179

საქართველო

ტ: +995 32 2509 300

tbilisi@dentons.com

ზოგადი მიმოხილვა და ინფორმაცია

კომპანია და საქმიანობა

შპს დენტონს საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის იურიდიული კომპანია, რომლის საქმიანობას წარმოადგენს იურიდიულ/სამართლებრივი კონსულტაციებისა და კვლევების გაწევა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს/სფეროებს:

- კორპორატიული/საბანკო/საფინანსო სამართალი;
- სასამართლო დავები;
- კონკურენციის სამართალი
- შრომითი სამართალი;
- უძრავი ქონება/სამშენებლო სექტორი;
- ენერგეტიკა;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- საგადასახადო/საბაჟო სამართალი;
- და ა.შ.;

სრული სახელწოდება:	შპს დენტონს საქართველო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი:	405187710
მუშაობის დაწყების თარიღი:	2017 წლის მაისი
დღგ-ს გადამხდელი:	კი

საკადრო ინფორმაცია

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კამპანიაში დასაქმებულთა 100% წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს და მოცემული თარიღისთვის მათ აქვთ უვადო შრომითი ხელშეკრულებები. თანამშრომელთა რაოდენობა 2017 წ. ბოლოს იყო 17 ადამიანი (53% ქალი; 47% კაცი), ხოლო 2018 წლის ბოლოს - 18 ადამიანი (61% ქალი; 39% კაცი), დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	2018 წ.			2017 წ.		
	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
მენეჯმენტი	0	2	2	0	2	2
იურისტები	7	3	10	5	4	9
ადმინისტრაცია	4	2	6	4	2	6
სულ:	11	7	18	9	8	17

ფინანსური უწყისები

საბალანსო უწყისი

თანხა: ლარი	კომენტარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
აქტივები		4,803,925	4,726,650
ფული და ფულის ეკვივალენტები	BS-01	2,825,693	2,200,766
სავაჭრო მოთხოვნები	BS-02	1,812,978	2,472,664
გადახდილი ავანსები	BS-03	44,335	1,209
ძირითადი საშუალებები	BS-04	120,919	52,012
ვალდებულებები		569,376	1,176,913
სავაჭრო ვალდებულებები	BS-05	26,926	386,901
საგადასახადო ვალდებულებები		2,893	2,788
გამოუმუშავებელი შემოსავალი		1,144	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	BS-06	538,413	787,223
საკუთარი კაპიტალი	BS-07	4,234,549	3,549,737
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,548,737	-
განაწილებული დივიდენდი		(790,573)	-
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი		1,475,385	3,548,737

საბალანსო უწყისის კომენტარები

BS-01: ფული და ფულის ეკვივალენტი -

კომპანია ოპერირებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით და ფულადი სახსრების ბრუნვის 99.9% მოდის საბანკო ოპერაციებზე. სალაროს მეშვეობით ხორციელდება მხოლოდ მცირეოდენი სამეურნეო ხარჯების გაწევა, რაც შეადგენს ფულადი სახსრების მხოლოდ 0.01%-ს. კომპანიას ანგარიშ(ებ)ი აქვს გახსნილი მხოლოდ ერთ ბანკში (სს თიბის ბანკში), სადაც ფლობს ანგარიშებს შემდეგ ვალუტებში: ლარი, დოლარი, ევრო და ფუნტი. სხვა ისეთი მაღალ ლიკვიდური აქტივები, როგორიცაა აქცია, ობლიგაცია, და ა.შ. - კომპანიას არ გააჩნია. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები შესაბამის ვალუტაში:

2018 წ. 31 დეკემბერი	ბალანსი ვალუტაში	ეკვივალენტი ლარში
ფულის ნაშთი - ლარი	991,700.28	991,700.28
ფულის ნაშთი - აშშ დოლარი	636,011.88	1,702,398.46
ფულის ნაშთი - ევრო	42,831.87	131,531.09
ფულის ნაშთი - ფუნტი	18.70	63.50
		2,825,693.33

BS-02: სავაჭრო მოთხოვნები -

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა). დენტონსის მიერ გამომუშავებული მომსახურების თანხები და ბ). დიელეი პაიპერისაგან აქტივების მიწოდებით წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2018 წ. 31 დეკემბერი	ლარი
დენტონსი	1,394,984.46
დიელეი პაიპერი	417,993.18
	1,812,977.64

BS-03: გადახდილი ავანსები -

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დღგ-ს (დამატებული ღირებულების გადასახადი) ზედმეტობა 40,330 ლარის ოდენობით.

BS-04: ძირითადი საშუალებები -

კომპანიას ძირითადი საშუალებები იყოფა ხუთ ძირითად ჯგუფად. ამორტიზაციის დარიცხვას კომპანია ახორციელებს წრფივი მეთოდით, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2018 წ. 31 დეკემბერი	ამორტიზ. ნორმა (%)	შეძენის ღირებულება	აკუმულირებული ამორტიზაცია	საბალანსო ღირებულება
სატრანსპორტო საშუალება	20%	6,455.94	(2,151.98)	4,303.96
ავეჯი	20%	25,381.63	(8,460.54)	16,921.09
კომპიუტერები	20%	94,219.17	(8,034.54)	86,184.63
აიტი მოწყობილობები	20%	17,914.68	(5,971.56)	11,943.12
ოფისის აღჭურვილობა	15%	2,367.84	(801.70)	1,566.14
		146,339.26	(25,420.32)	120,918.94

BS-05: სავაჭრო ვალდებულებები -

2017 წელს კომპანიას ჰქონდა შედარებით მაღალი სავაჭრო ვალდებულებები (386,901 ლარის ოდენობით), რაც გამოწვეული იყო დიელეი პაიპერისგან აქტივების შეძენის ტრანზაქციით, აღნიშნული თანხის დიელეი პაიპერისთვის სრულად დაფარვა განხორციელდა 2018 წელს, ხოლო 2018 წლის ბოლოს ნაშთი, 26 ათასი ლარი, არის მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი, სადაც 21 ათასი ლარი შეადგენს ოფისის იჯარასთან დაკავშირებულ თანხებს და სხვადასხვა მიმდინარე წვრილ საოპერაციო ვალდებულებებს.

BS-06: მიმდინარე სასესხო ვალდებულებები -

2017 წლის ბოლოს კომპანიას ჰქონდა 300,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი, საიდანაც 100,000 აშშ დოლარის + დაგროვილი საპროცენტო სარგებლის გასტუმრება განხორციელდა 2018 წელს და 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილმა სასესხო ვალდებულებამ (პროცენტის ჩათვლით) შეადგინა 538,413 ლარი.

BS-07: საკუთარი კაპიტალი -

2017 წელი კომპანიამ დახურა პოზიტიური სუფთა მოგებით, რამაც შეადგინა 3,548,737 ლარი, საიდანაც 2018 წელს დივიდენდის სახით დამფუძნებლებზე გაცემულ იქნა 790,573 ლარი, ხოლო 2018 წელს კომპანიის სუფთა მოგებამ შეადგინა 1,475,385 ლარი. რაც შეეხება საწყის საწესდებო კაპიტალს, მისი ოდენობა შეადგენს 1,000 ლარს, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2018 წ. 31 დეკემბერი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	1,000
გაუნაწილებელი მოგება (2017 წ.)	3,548,737
განაწილებული დივიდენდი	(790,573)
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი (2018 წ.)	1,475,385
	4,234,549

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

თანხა: ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	960,217	1,472,403
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(86,479)	(59,860)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(248,810)	788,223
წმინდა ზრდა (კლება)	624,928	2,200,766
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,200,766	0.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,825,693	2,200,766

მოგება-ზარალის უწყისი

თანხა: ლარი	კომენტარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
შემოსავლები		4,646,902	3,092,926
გაწეული მომსახურება	PL-01	4,646,902	3,092,926
საოპერაციო ხარჯები		(3,056,206)	(1,881,126)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(2,328,091)	(1,399,979)
ცვთა და ამორტიზაცია		(17,572)	(7,848)
საპროცენტო ხარჯი :		(4,841)	(7,090)
იჯარის ხარჯი	PL-02	(155,250)	(115,006)
სხვა ადმინ. და საოპერაციო ხარჯი	PL-03	(550,451)	(351,203)
საოპერაციო მოგება		1,590,696	1,211,800
სხვა შემოსავლები და ხარჯები		(115,311)	2,336,937
სხვა შემოსავლები / ხარჯები	PL-04	27,978	2,346,285
მოგების გადასახადი		(143,289)	(9,348)
სუფთა მოგება / ზარალი		1,475,385	3,548,737

მოგება-ზარალის უწყისის კომენტარები

PL-01: შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან -

აღნიშნული მუხლი მოიცავს მხოლოდ კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან (იურიდიული კონსულტაციებიდან) გამომუშავებულ შემოსავალს. კომპანიის შემოსავლების სტრუქტურა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა) დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა; და ბ). დღგ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა - საიდანაც უმეტესი ნაწილი (52% მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვას, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2018 წ. 31 დეკემბერი	პროცენტული თანაფარდობა	შემოსავალი ლარებში
დღგ-ით დასაბეგრი	52.4%	2,433,631.01
დღგ-საგან გათავისუფლებული	47.6%	2,213,270.62
	100.0%	4,646,901.63

PL-02: იჯარის ხარჯი -

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი (ჯამში 480 კვ. მ.) და 1 მ²-ში იხდის 15 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში (დღგ-ს ჩათვლით). 2017 წელს იჯარის ხარჯმა შეადგინა 115,006 ლარი, ხოლო 2018 წელს 155,250 ლარი - აღნიშნული განსხვავება განპირობებულია ორი ფაქტორით:

- ა). 2017 წელს კომპანიას ჰქონდა არა-სრული წელი;
- ბ). ლარის გაუფასურება;

PL-03: სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები -
დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

თანხა: ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
კლიენტის ხარჯები	210,777	101,852
მივლინება	39,853	27,345
ტრენინგი / კონფერენცია	1,926	400
მარკეტინგი	26,137	55,758
საწევრო	10,847	3,576
კომუნალური	12,167	8,063
ბანკის მომსახურება	4,872	1,143
საკანცელარიო	2,256	1,297
ოფისის მოვლა-დასუფთავება	11,461	7,248
ჟურნალ-გაზეთები	1,139	4,351
საკომუნიკაციო ხარჯი	47,701	32,368
ტრანსპორტირების ხარჯი	19,840	7,778
IT ხარჯები	39,765	29,574
დაზღვევა	51,290	33,256
საკურიერო მომსახურება	8,397	3,281
გადასახადები	18,813	4,561
წარმომადგენლობითი ხარჯები	15,074	17,609
კონვერტაცია	3,125	8,992
პერსონალზე გაწეული ხარჯები	17,849	2,511
სხვა ხარჯები	7,162	240
	550,451.26	351,202.77

PL-04: სხვა შემოსავლები / ხარჯები -

2017 წელს კომპანიამ დიეღუი პაიპერისაგან მოახდინა აქტივების შეძენა საბალანსოზე დაბალ ფასად. ტრანზაქცია განხორციელდა (შეფასება/შეძენა) აშშ დოლარში, შესაბამისად აღნიშნულმა ფასთა შორის სხვაობამ და საკუროსო გადაფასებამ გამოიწვია 2,212,000 ლარიანი არა საოპერაციო შემოსავლის გაჩენა. ხოლო 2018 წლის ანალოგიური შემოსავალი (27,978 ლარი) წარმოადგენს კომპანიის სტანდარტული ყოველწლიური გადაფასებების შედეგად მიღებულ სხვა შემოსავალს.